სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის ოქმი №4

ქ. თბილისი 2022 წლის 03 აგვისტო

ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებული პანდემიის გამო წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ფორმატთან დაკავშირებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება, წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის დისტანციურად, ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების თაობაზე.

შესაბამისად, თსუ სენატის სამდივნოს მიერ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს ელ. მისამართებზე დაეგზავნათ წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის დღის წესრიგი, შესაბამისი მასალებით და ეთხოვათ, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, დისტანციურად დააფიქსირებინათ პოზიცია, უჭერდნენ თუ არა მხარს წარმოდგენილ საკითხებს.

**დისტანციური სხდომის დღის წესრიგი:**

1.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა სტატუსის შესახებ (მომხსენებელი: გიორგი ჩაკვეტაძე)
2.სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ (მომხსენებელი: გიორგი ჩაკვეტაძე)
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი: შოთა ფოთოლაშვილი)
4. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული მცირეფასიანი აქტივების ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართიდან (სავარაუდო წონით 5445 კგ. შავი ლითონი), სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შავი ლითონის ჯართის 5277 კგ. (სავარაუდო წონით) სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსათვის გადაცემის საკითხი (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე)
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული, ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის მცხეთის კრიოგენულ საამქროში განთავსებული ავზების პრივატიზების საკითხი (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე)

თსუ სენატის სამდივნოში, ელ. ფოსტის მეშვეობით, თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს წარმომადგენლობითი საბჭოს შემდეგმა **40** წევრმა:

1. კახაბერ ლორია 2. აპოლონ თაბუაშვილი 3. ადა ნემსაძე 4. თამარ პაიჭაძე 5. მარინა გარიშვილი 6. ეკა ვარდოშვილი 7. ნინო ჭალაგანიძე 8. მიხეილ რუხაია 9. სოფიო ხუციშვილი 10. გიორგი გოგსაძე 11. ნინო აბესაძე 12. ეთერ კაკულია 13. გვანცა გვანცელაძე 14. ნათელა არჩვაძე 15. ილია თავხელიძე 16. გიორგი ჯაფოშვილი 17. ლია მაჭავარიანი 18. მარინა ხუციშვილი 19. ირინე ჟვანია 20. ვლადიმერ მარგველაშვილი 21. ნაზირა კაკულია 22. ნოდარ ლომიძე 23. ლალი ახალბედაშვილი 24. მანანა რუსიეშვილი 25. თემურ ცქიტიშვილი 26. ლუკა ონიანი 27. გიორგი თუმანიშვილი 28. ელენე ბებერაშვილი 29. ნინო ჩახუნაშვილი 30. საბა სახვაძე 31. ზურაბ გაიპარაშვილი 32. მანანა ნიკოლაიშვილი 33. მაია ივანიძე 34. მარინა გურგენიშვილი 35. თამილა ჩალაძე 36. თინა ქიტუაშვილი 37. მარიამ თვალაძე 38. თამარ ლაშხი 39. ნინო პავლიაშვილი (უფლებამოსილების ცნობის შემდეგ) 40. დაჩი ჩიტაია (დანართი 1)

იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-3 საკითხის (სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ) განხილვაში მონაწილეობს ასევე აკადემიური საბჭო, მასალები რექტორის აპარატისა და აკადემიური საბჭოს სამდივნოს მიერ გადაგზავნილი იქნა თსუ აკადემიური საბჭოს წევრებთან გასაცნობად (დანართი 2).

დისტანციური სხდომის დღის წერიგის 1-ელ და მე-2 საკითხებთან დაკავშირებით (1.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა სტატუსის შესახებ და 2. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ) **აღინიშნა, რომ** წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილება უწყდებათ კურსდამთავრებულებს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენელს დინა ხუციშვილსა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წარმომადგენელს თამარ ბერაძეს (უფლებამონაცვლეები არ ჰყავთ), ხოლო შოთა კეჟერაშვილს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენელს, უფლებამოსილება უწყდება პირადი განცხადების საფუძველზე (უფლებამონაცვლე არ ჰყავს). მე-2 საკითხი კი შეეხება თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელისათვის სენატის წევრის უფლებამოსილების ცნობის საკითხს. ვინაიდან, ქალბატონი ნინო პავლიაშვილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის N 553/02-03 553-02-03-4-202205181240 18/05/2022 ბრძანებით დაინიშნა სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობაზე, აუცილებელია ცნობილი იქნეს მისი უფლებამოსილება წარმომადგენლობით საბჭოში, თსუ წესდების მე-10 მუხლის მე-4 პუნქტიდან გამომდინარე, რომლის მიხედვითაც წარმომადგენლობით საბჭოში შედის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი და უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი;

**შესაბამისად, მიღებულად ჩაითვალა შემდეგი გადაწყვეტილებები:**

1. შეუწყდეთ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსი:

1.1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენლებს- დინა ხუციშვილსა და შოთა კეჟერაშვილს;;
1.2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წარმომადგენელს - თამარ ბერაძეს;

**მომხრე:** 39

**წინააღმდეგი:** 0

**2.**ცნობილი იქნეს სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორის ნინო პავლიაშვილის უფლებამოსილება;

**მომხრე:** 39

**წინააღმდეგი:** 0

**3.** დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულება წარმოდგენილი სახით. (დანართი 3)

**მომხრე:** 40

**წინააღმდეგი:** 0

**4.** გაიცეს თანხმობა სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული მცირეფასიანი აქტივების ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართიდან (სავარაუდო წონით 5445 კგ. შავი ლითონი), სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შავი ლითონის ჯართის 5277 კგ. (სავარაუდო წონით) სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსათვის გადაცემაზე. (დანართი 4)

**მომხრე:** 40

**წინააღმდეგი:** 0

**5**. გაიცეს თანხმობა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული, ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის მცხეთის კრიოგენულ საამქროში განთავსებული ავზების პრივატიზებაზე. (დანართი 5)

**მომხრე:** 40

**წინააღმდეგი:** 0

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი - ვლადიმერ მარგველაშვილი

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი - გიორგი ჩაკვეტაძე

**2022  წლის  03 აგვისტოს დისტანციური სხდომის ფორმატში  (სხდომა #4, ელ.ფოსტის გამოყენებით) მონაწილე წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:**

**ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი**

**პროფესორები:**

აბესაძე ნინო -

კაკულია ნაზირა -

**სტუდენტები:**

ჯაფოშვილი გიორგი -

სახვაძე საბა -

ლაშხი თამარი -

**ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი**

**პროფესორები:**

არჩვაძე ნათელა -

მაჭავარიანი ლია -

თავხელიძე ილია -

**სტუდენტები:**

ონიანი ლუკა -

## იურიდიული ფაკულტეტი

**პროფესორები:**

გარიშვილი მარინე -

თუმანიშვილი გიორგი -

ივანიძე მაია -

## მედიცინის ფაკულტეტი

**პროფესორები:**

მარგველაშვილი ვლადიმერი -

ქიტუაშვილი თინა -

## სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**პროფესორები:**

გოგსაძე გიორგი -

ჭალაგანიძე ნინო -

**სტუდენტები:**

ჩიტაია დაჩი -

ბებერაშვილი ელენე -

**ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი**

**პროფესორები:**

ჟვანია ირინე -

ჩახუნაშვილი ნინო -

**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

**პროფესორები:**

ლორია კახაბერი -

რუსიეშვილი მანანა -

პაიჭაძე თამარი -

ვარდოშვილი ეკა -

თაბუაშვილი აპოლონი -

ბახტაძე მიხეილი -

**სტუდენტები:**

თვალაძე მარიამი -

**თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი**

გაიპარაშვილი ზურაბი -

**თსუ-ს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი**

ნინო პავლიაშვილი -

**თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი**

ცქიტიშვილი თემური -

**ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტი**

ახალბედაშვილი ლალი -

**რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი**

ხუციშვილი მარინა -

**შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი**

ნემსაძე ადა -

**ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი**

რუხაია მიხეილი -

**ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი**

ხუციშვილი სოფიო -

**მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი**

ლომიძე ნოდარი -

**პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი**

კაკულია ეთერი -

**არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი**

გვანცელაძე გვანცა -

**მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტი**

მანანა ნიკოლაიშვილი

**თსუ ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფ. ინსტიტუტი**

ჩალაძე თამილა -

**სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს იმ წევრთა სია, რომელთაც დისტანციურად (ელ. საშუალების გამოყენებით) დაადასტურეს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად გათვალისწინებული საკითხის გაცნობის ფაქტი**

**წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის ოქმი (03.08.2022 წ. #4)**

1. შარვაშიძე გიორგი
2. აბაშიძე ზურაბ
3. ავაზაშვილი ნიკოლოზ
4. ამირანაშვილი ავთანდილ
5. ანანიაშვილი ნათელა
6. გაგნიძე ნონა
7. ზაუტაშვილი მარინე
8. იმნაძე პაატა
9. კუხიანიძე ალექსანდრე
10. ლობჟანიძე გია
11. ლომიძე გაგა
12. სილაგაძე ავთანდილ
13. ფერაძე გოჩა
14. ქურდაძე რამაზ
15. ღონღაძე ალექსანდრე
16. ყარალაშვილი თამაზ
17. შალიკაშვილი მორის
18. შანიძე რევაზ
19. შენგელია თემურ
20. ჩიტაშვილი მარინე
21. წერეთელი მარი
22. ხარაიშვილი ეთერ
23. ხაჩიძე მანანა
24. ხუსკივაძე მამუკა
25. ხუციშვილი ქეთევანი

*პროექტი*

# საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულება

## მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი") სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი (შემდგომში - „დეპარტამენტი") წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს.
2. დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.
3. დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

## მუხლი 2. დეპარტამენტის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. დეპარტამენტის საქმიანობის სფერო, ამოცანები და ფუნქციებია:

ა) საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობა;

ბ) კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადების პროცესისათვის ხელშეწყობა;

გ) სტუდენტის სასწავლო პროცესზე, საგანმანათლებლო პროგრამაზე სწორად ორიენტირება;

დ) საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირების შესახებ ინფორმაციის სისტემატიზაცია.

2. დეპარტამენტი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საგანმანათლებლო ერთეულების სასწავლო პროცესის მართვის სამსახურებთან კოორდინირებული მუშაობით.

## მუხლი 3. დეპარტამენტის სტრუქტურა

1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი. დეპარტამენტის სტრუქტურაში შედიან დეპარტამენტის განყოფილებები.

2. დეპარტამენტის უფროსს უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

3. დეპარტამენტის უფროსს ჰყავს უფროსის მოადგილე.

4. დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს, განყოფილების უფროსებსა და თანამშრომლებს თანამდებობებზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით.

5. დეპარტამენტის უფროსის დროებით არყოფნის (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა, დროებით - 2 დღეზე მეტი ვადით არყოფნა), აგრეთვე დეპარტამენტის უფროსის დავალების შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

6. დეპარტამენტი შედგება შემდეგი განყოფილებებისგან:

ა) სასწავლო პროცესის მართვის განყოფილება;

ბ) კურსდამთავრებულთა მომსახურების განყოფილება;

გ) სტუდენტთა რეესტრის წარმოების განყოფილება.

7. უნივერსიტეტის საშტატო განრიგით დეპარტამენტისათვის განსაზღვრული თანამდებობებია: დეპარტამენტის უფროსი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, დეპარტამენტის განყოფილების უფროსი, დეპარტამენტის განყოფილების მთავარი სპეციალისტი (I კატეგორია), დეპარტამენტის განყოფილების მთავარი სპეციალისტი (II კატეგორია), დეპარტამენტის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი და დეპარტამენტის განყოფილების უფროსი სპეციალისტი.

8. დეპარტამენტის საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის (ექსპერტის, კონსულტანტის, მთავარი სპეციალისტის (I კატეგორია; II კატეგორია), წამყვანი სპეციალისტის და უფროსი სპეციალისტის) მოწვევა.

**მუხლი 4. დეპარტამენტის ხელმძღვანელობა**

1. დეპარტამენტის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს დეპარტამენტის საქმიანობას;

ბ) განსაზღვრავს დეპარტამენტის საქმიანობის პრიორიტეტებს და პასუხისმგებელია მათ განხორციელებაზე;

გ) ანაწილებს ფუნქციებს დეპარტამენტის თანამშრომლებს შორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციის შესაბამისად, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

დ) ზედამხედველობს დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;
ე) ხელს აწერს დეპარტამენტში მომზადებულ დოკუმენტებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებულ სამართლებრივი აქტების პროექტების ვიზირებას;
ვ) წარადგენს ანგარიშს დეპარტამენტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიურად, აგრეთვე ნებისმიერ დროს უნივერსიტეტის რექტორის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით;
ზ) ორგანიზებას უწევს ამ დებულებით დეპარტამენტისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;
თ) წარუდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს დეპარტამენტის შიდა სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზაციის, დეპარტამენტის თანამშრომლების წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;
ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში დეპარტამენტის სახელით გასცემს დასკვნებს;
კ) პერიოდულად ისმენს დეპარტამენტის თანამშრომლების ანგარიშს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;
ლ) შუამდგომლობს დეპარტამენტის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე;
მ) წარმოადგენს დეპარტამენტს მესამე პირებთან ურთიერთობაში;
ნ) ახორციელებს წინამდებარე დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. დეპარტამენტის უფროსის მოადგილე:
ა) ხელს უწყობს დეპარტამენტის უფროსს მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელების დაგეგმვა-კოორდინაციასა და ორგანიზაციაში;
ბ) მონაწილეობს დეპარტამენტში შემოსული მასალების განაწილებაში;
გ) ახორციელებს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისათვის სამსახურებრივი საკითხების შესახებ კონსულტაციის გაწევას;
დ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის სფეროში დეპარტამენტის ფუნქციების განხორციელებას;

ე) დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებით ასრულებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, რექტორის, დეპარტამენტის უფროსის დავალებებს.

3. განყოფილების უფროსი:
ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს განყოფილების საქმიანობას;
ბ) ანაწილებს მოვალეობებს განყოფილების თანამშრომლებს შორის, დეპარტამენტის უფროსის მითითებების შესაბამისად, განსაზღვრავს მათ ფუნქციებს და აძლევს დავალებებს;
გ) ხელს აწერს განყოფილებაში მომზადებულ დოკუმენტებს;
დ) ამზადებს განყოფილების საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშს და წარუდგენს დეპარტამენტის უფროსს;
ე) ორგანიზებას უწევს განყოფილებისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც დეპარტამენტის უფროსს წარუდგენს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის თვალსაზრისით;
ვ) პასუხისმგებელია განყოფილების საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობაზე.

**მუხლი 5. სასწავლო პროცესის მართვის განყოფილება**
სასწავლო პროცესის მართვის განყოფილება:
ა) ახდენს სასწავლო პროცესის განხორციელების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას;
ბ) კანონმდებლობის შესაბამისად ამზადებს უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების პროექტებს;
გ) კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს შესამუშავებელი სამართლებრივი აქტების შედგენასა და ექსპერტიზაში;
დ) კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სტრუქტურებთან;
ე) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის დამუშავებასა და საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული მუშაობის საფუძველზე, წერილების მომზადებას;
ვ) მონაწილეობს ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების სასწავლო პროცესში ინტეგრირებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებებში;
ზ) ახორციელებს უნივერსიტეტის სასწავლო საქმიანობის ანალიზს;

თ) უზრუნველყოფს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;
ი) უზრუნველყოფს „სტუდენტის გზამკვლევის" (საინფორმაციო ბროშურა) და სხვა საცნობარო მასალის შემუშავებას;
კ) უზრუნველყოფს სტუდენტების ხელშეკრულებების პროექტების მომზადებას.
ლ) მონაწილეობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სასწავლო პროცესში ადაპტირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებში;
მ) ახორციელებს კონტროლს სტუდენტის პირადი საქმის წარმოებაზე;
ნ) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის სხვადასხვა სახის ცნობების დამზადებას;
ო) უზრუნველყოფს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას და კონსულტაციების გაწევას სტუდენტებისათვის.

**მუხლი 6. კურსდამთავრებულთა მომსახურების განყოფილება**

კურსდამთავრებულთა მომსახურების განყოფილება:
ა) კანონმდებლობის შესაბამისად, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების პროექტებს;
ბ) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის დამუშავებასა და საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული მუშაობის საფუძველზე, წერილების მომზადებას;
გ) თანამშრომლობს საქართველოსა და უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სტრუქტურებთან;
დ) უზრუნველყოფს უმაღლესი, პროფესიული და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომებისა და სერტიფიკატების ფორმების შემუშავებას და შესაბამის სახელმწიფო ორგანოებში წარდგენას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
ე) ახორციელებს უმაღლესი, პროფესიული და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომებისა და სერტიფიკატების შევსებას, დიპლომის დანართის გადამოწმებას, გაცემას და აღრიცხვას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ვ) ახორციელებს სერტიფიკატებისა და მოწმობების ფორმების (გარდა ამ მუხლის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებში მითითებული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების) შემუშავებას, შევსებას, გაცემას და მათ აღრიცხვას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ზ) ახორციელებს უმაღლესი, პროფესიული და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომებისა და სერტიფიკატების დასკანერებას;

თ) თანამშრომლობს უფლებამოსილ სახელმწიფო და სხვა დაწესებულებებთან, უცხოეთის სხვადასხვა ორგანიზაციებთან უმაღლესი, პროფესიული და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომებისა და სერტიფიკატების, ასევე ცნობების ნამდვილობისა და სწავლის ფაქტის დადასტურების მიზნით;

ი) უზრუნველყოფს სატენდერო წინადადებების მომზადებას დიპლომების, სერტიფიკატებისა და დიპლომების ყდების შესყიდვის მიზნით;

კ) ახორციელებს უმაღლესი, პროფესიული და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომების, დიპლომების დანართების, სერტიფიკატებისა და ცნობების ასლების დამოწმებას;

ლ) ახორციელებს ექსპერტიზა-უტილიზაციისთვის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების მომზადებასა და წარდგენას უფლებამოსილ სახელმწიფო დაწესებულებაში კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

მ) ახორციელებს საუნივერსიტეტო მუდმივმოქმედი კომისიისათვის გამოსაყენებლად უვარგისი მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების გასანადგურებლად წარდგენას;

ნ) უზრუნველყოფს 2009-2010 სასწავლო წლის ჩათვლით სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებისთვის შუამდგომლობის მომზადებას;

ო) უზრუნველყოფს 2009-2010 სასწავლო წლის დაწყებამდე საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებისთვის/იმ პირებისათვის, რომლებსაც საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების წელს არ მიუღიათ საშუალო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი/მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეიცვალა სახელი ან/და გვარი, შუამდგომლობის მომზადებას;

პ) უზრუნველყოფს თსუ-ს ყოფილი ფილაილების (ქვემო ქართლი, ოზურგეთი, ფოთი), შემოერთებული უნივერსიტეტების (თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის უნივერსიტეტი) და მათი ყოფილი ფილიალების კურსდამთავრებულთათვის საჭირო დოკუმენტების მომზადებასა და გაცემას;

ჟ) უზრუნველყოფს განყოფილებაში დაცული გაუცემელი დიპლომებისა და დიპლომების დანართების, სერტიფიკატებისა და მოწმობების თსუ არქივისთვის გადაცემას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

რ) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთათვის სხვადასხვა სახის ცნობების დამზადებას.

**მუხლი 7. სტუდენტთა რეესტრის წარმოების განყოფილება**

სტუდენტთა რეესტრის წარმოების განყოფილება:

ა) ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირების შესახებ უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრირების წესით გათვალისწინებული ინფორმაციის სისტემატიზაციას (ინფორმაციის შეტანა და განახლება);

ბ) თანამშრომლობს უფლებამოსილ სახელმწიფო დაწესებულებებთან უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრირების მიზნით;

გ) ახორციელებს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ინფორმაციის შეტანას და მუდმივ განახლებას;

დ) ახორციელებს მონიტორინგს სტუდენტთა ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის ელექტრონულ აღრიცხვაზე;

ე) კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით უზრუნველყოფს დიპლომის/პროფესიული დიპლომის და სერტიფიკატის უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში/უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ატვირთვას;

ვ) სტუდენტთა რეესტრის წარმოების განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის დამუშავებას, საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული მუშაობის საფუძველზე წერილების მომზადებას;

ზ) უზრუნველყოფს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უნივერსიტეტისათვის გამოყოფილი პროგრამული დაფინანსების მოცულობის ფარგლებში ბაკალავრიატის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებიდან დასაფინანსებელი სტუდენტების შერჩევას;

თ) უზრუნველყოფს სტუდენტი ვაჟებისათვის სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევაზე უფლებამოსილ ორგანოში წარსადგენი ცნობის მომზადებას;

ი) უზრუნველყოფს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უნივერსიტეტისათვის გამოყოფილი პროგრამული დაფინანსების მოცულობის ფარგლებში ბაკალავრიატის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებიდან დასაფინანსებელი სტუდენტების მონაცემთა დამუშავებას;

კ) თანამშრომლობს უფლებამოსილ სახელმწიფო დაწესებულებებთან, ფიზიკურ/ იურიდიულ პირებთან სტატისტიკური მონაცემების დამუშავების მიზნით.

ლ) ახორციელებს მსოფლიოს სხვადასხვა საუნივერსიტეტო რანჟირების სისტემაში უნივერსიტეტის მონაწილეობის უზრუნველსაყოფად სავალდებულო მონაცემების მომზადებას;

მ) უზრუნველყოფს წარჩინებული სტუდენტებისათვის სტიპენდიების მოპოვების მიზნით უფლებამოსილი სახელმწიფო დაწესებულებების/იურიდიული პირების მოთხოვნის საფუძველზე დასაფინანსებელი სტუდენტების მონაცემთა დამუშავებას.

**მუხლი 8. დეპარტამენტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია**

დეპარტამენტის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 9. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი**

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

N 11994/10 27/05/2022

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს
ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის (შემდგომში - „დეპარტამენტი“) დებულებას. აღნიშნული დეპარტამენტის დებულების ხელახლა დამტკიცება და ამჟამად მოქმედი დებულების გაუქმება განპირობებულია მასში შესატანი, როგორც ტექნიკური, ასევე, შინაარსობრივი ხასიათის ცვლილებების სიმრავლით (როგორიცაა მაგალითად: ფუნქციათა გადანაწილება და კონკრეტიზაცია განყოფილებათა შორის, განყოფილების ფარგლებში კომპეტენციათა სისტემატიზაცია, დეპარტამენტის ერთ-ერთი განყოფილების სახელის ცვლილება და სხვ.).

ასევე გაცნობებთ, რომ დებულების პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ნაწილზე და არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 12430/10 31/05/2022

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი
საბჭოს სპიკერს ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ განიხილოთ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 27 აპრილის N68/02-01 ბრძანებით, უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული მცირეფასიანი აქტივების ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართიდან (სავარაუდო წონით 5445 კგ. შავი ლითონი), სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შავი ლითონის ჯართის 5277 კგ. (სავარაუდო წონით) სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსათვის გადაცემის საკითხი.

დანართი: 2 ელ. ფაილი.

პატივისცემით,

გიორგი შამათავა

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება

N 68/02-01
27/04/2022

68-02-01-4-202204271623

## სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული მცირეფასიანი აქტივების (მოძრავი ქონების) ჩამოწერის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტების, 85-ე მუხლის მე-1[1] პუნქტის, „საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის №82 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის , მე-5 და მე-6 მუხლების, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 10 დეკემბრის №5 სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 22 მაისის №MES 1 18 00603004 კორესპონდენციის, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 16 მარტის №70/02-01 ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისიის 2021 წლის 28 ივლისის ოქმისა და დასკვნის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. ჩამოწერილ იქნას სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსიდან 142883 ლარის ღირებულების მცირეფასიანი აქტივები (4158 ერთეული, დანართი ექსელის ფაილი);
2. დაევალოს იურიდიულ დეპარტამენტს მცირეფასიანი აქტივების ჩამოწერის შედეგად იღებული ჯართის (სავარაუდო წონა 5445 კგ შავი ლითონი) კანონმდებლობის შესაბამისად განკარგვის სამართლებრივი უზრუნველყოფა;
3. დაევალოს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს მცირეფასიანი აქტივების ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონების განკარგვა კანონმდებლობის შესაბამისად;
4. დაევალოს საფინანსო დეპარტამენტს განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედებები;

5. დაევალოს კანცელარიას გადასცეს წინამდებარე ბრძანება დაგზავნის ფურცელში მითითებულ სტრუქტურულ ერთეულებს;
6. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;
7. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ორგანიზაციის დასახელება: სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ორგანიზაციის ხელმძღვანელის 16.03.2017წ.  N70/02-01 ბრძანებით შექმნილი ჩამოსაწერი ქონების საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილება

**ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ჩამოსაწერი მცირეფასიანი აქტივების დანართი**

